ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი
ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – შ. ა. ა
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 28.10.2016
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 086/16
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი დ. ბ /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ბ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1 **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2016 წლის 28 ოქტომბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შ. ა. ა-მა და მოითხოვა ადვოკატ დ. ბსთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას ჰქონდა ბიზნეს ურთიერთობა მის მეგობარ მ. ა.-თან, კერძოდ, ისინი ერთად ყიდიდნენ ევროპიდან ჩამოყვანილ ავტოსატრასნპორტო საშუალებებს. სიტყვიერი შეთანხმების შეუსრულებლობის გამო, გადახდილი თანხები შ. ა. ა-მა ხელზე მიიღო, ხოლო დარჩენილ 30 000 (ოცდაათი ათასი) ევროზე გაფორმდა სესხის ხელშეკრულება. თანხის გადახდის დღისთვის გადაუხდელობის გამო საჩივრის ავტორმა ხელშეკრულება, სამართლებრივი დახმარებისათვის, გადასცა ადვოკატ დ. ბ-სა და თ. ჯ-ს. ჰონორარის გადახდა მოხდა ნაღდი ფულით და განისაზღვრა 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან რამდენჯერმე სთხოვა ადვოკატებს გადახდის ქვითრის გადაცემა, მაგრამ ადვოკატები ყოველ ჯერზე უვადებდნენ აღნიშნული ქვითრის გადაცემას. ადვოკატები არწმუნებდნენ შ. ა. ა.-ნს, რომ სესხის თანხას ერთ თვეში დაიბრუნებდა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ვალის აღიარების ხელშეკრულების მიხედვით, მისთვის გადასაცემი თანხა 2014 წლის 15 ნოემბრისათვის შეადგენდა 30000 (ოცდაათი ათასი) ევროს, ხოლო

აღნიშნულ დროს თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, მას კომპენსაციის სახით უნდა მიეღო აღნიშნული თანხის 50%, აგრეთვე პირგასამტეხლო საწყისი თანხის 3%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატებმა დ. ბ-მ და თ. ჯ-მა მას მისცეს სიტყვიერი გარანტია, რომ აღნიშნულ თანხას ერთ თვეში დაიბრუნებდა, მაგრამ სარჩელის განხილვის შემდგომ ეტაპებზე, მისთვის უკითხავად სარჩელი უკან გამოიხმეს და მიაყენეს მას ზიანი, მეორე მხარესთან შეთანხმებით. ასევე, დამატებით, აღნიშნულიდან გამომდინარე, მეორე მხარეს მიეცა საფუძველი 98 000 (ოთხმოცდათვრამეტი ათასი) ლარის მოთხოვნის მიზნით სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის.

1.6 საპროცესო კოლეგიის სხდომა გაიმართა 2017 წლის 24 იანვარს. საჩივრის ავტორის განცხადებით, არასწორია ადვოკატების მითითება, რომ მათ მიიღეს მხოლოდ 1500 (ათას ხუთასი) ევროს ოდენობით. მათ დამატებით მიიღეს თანხები.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისმა ყოფილმა მეუღლემ, ე. ნ-მა მართლაც მისცა ჩვენება პროკურორს, მაგრამ მოსამართლემ მისი ჩვენება არ მიიღო იმ მოტივაციით, რომ იგი იყო შ. ა. ა-ს ყოფილი მეუღლე და ჩვენების მიცემისას მიკერძოებული იქნებოდა მის საწინააღმდეგოდ.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას არ მიუთითებია საქმის გამოხმობის შესახებ ადვოკატებისათვის და არც სარჩელით ხელახლა მიმართვის მოთხოვნა დაუყენებია.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, წერილობითი ხელშეკრულება მხარეებს შორის არ გაფორმებულა. შ. ა. ა-ს განცხადებით, მას ადვოკატებმა აუხსნეს, თუ როგორ უნდა დაებრუნებინა პროცედურულად მის მიერ მისაღები თანხა - ეს მოხდებოდა ქონებაზე ყადაღის დადების მეშვეობით. ქონებას წარმოადგენდა რამდენიმე ავტომობილი.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატები დაუკავშირდნენ და ჰკითხეს, დაესწრებოდა თუ არა თბილისის საქალაქო სასამართლოში გასამართ სხდომას. ასევე, დამატებით განუმარტეს, რომ მისი ყოფილი მეუღლე მის საწინააღმდეგო პოზიციას აფიქსირებდა ჩვენებაში. შ. ა. ა-ს ყოფნის დროს სასამართლო სხდომას ესწრებოდა ადვოკატი თ. ჯ, რომელიც საჩივრის ავტორის სასარგებლოდ აფიქსირებდა პოზიციას, მათ შორის, ვალის აღიარების ხელწერილთან მიმართებით.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას ადვოკატი თ. ჯ თარჯიმნის საშუალებით უხსნიდა, თუ რა მოხდა სასამართლო პროცესზე და, ასევე, აღნიშნა, რომ თუ ე. ნ კვლავ გამოცხადდებოდა სასამართლო პროცესზე, საქმე დასრულდებოდა წარუმატებლად.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით, მის ძმას გარკვეული ხნის შემდეგ დაუკავშირდნენ ადვოკატები და განუცხადეს, რომ დამატებით გაიმართა სასამართლო პროცესი, სადაც გამოცხადდა ე. ნ, ხოლო მათ „ტექნიკური მახე“ დაუგეს შ. ა. ა-ს მოწინააღმდეგე მხარეს და საქმე უკან გამოითხოვეს, რათა იგი არ დასრულებულიყო საჩივრი ავტორის ინტერესების საწინააღმდეგოდ. შ. ა. ა-ს განცხადებით, მან არ იცის ჰქონდათ თუ არა ადვოკატის ამის იურიდიული უფლება, რადგან მინდობილობას ხელი წაუკითხავად მოაწერა, თუმცა, იგი უცხადებდა ადვოკატებს, რომ არ გამოეხმოთ საქმე, რადგან ის მოაგვარებდა მისი ყოფილი მეუღლის მიერ ჩვენების მიცემის საკითხს.

1.13 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატებთან ბოლო ურთიერთობისას ისაუბრეს, რომ შესაძლებელი იყო საქმის ხელახლა შეტანა სასამართლოში და მისი წარმატებით დასრულება.

2 ადვოკატ დ. ბ-ის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დ. ბ-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2016 წლის 22 ნოემბერს. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის მიერ გადახდილი ჰონორარი შეადგენს 1500 (ათას ხუთასი) ევროს, რაც ასახულია მათ ხელშეკრულებაში. ამასთან, ჰონორარის გადახდა არ მომხდარა ხელზე, იგი ხორციელდებოდა საფოსტო გზავნილების მეშვეობით. ხოლო საჩივრის ავტორი შესაძლოა შეცდომით თვლის ბაჟის სახით გადახდილ 3000 (სამი ათას) ლარს ადვოკატების ჰონორარად.

2.2 ადვოკატის განმარტებით, სინამდვილესთან სრულიად შეუსაბამოა ის ფაქტი, რომ ისინი საჩივრის ავტორს შეპირდნენ ერთ თვეში საქმის დასრულებასა და თანხის დაბრუნებას, ან გამოართვეს რაიმე თანხა ხელშეკრულების მიღმა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი ოდენობით.

2.3 ადვოკატის განმარტებით, დავის გადამწყვეტი ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად საჩივრის ავტორი აპირებდა ყოფილი მეუღლის ე. ნ-ს მოწმედ გამოსვლას და მის ჩვენებაზე მითითებას. თუმცა, 2015 წლის ნოემბერში ე. ნ-მა განაცხადა, რომ შ. ა. ა-მა მისი თანდასწრებით გაუყალბა ვალის აღიარების ხელწერილი მ. ა.-ს და ხელწერილი წარმოადგენდა ფოტოასლს, რაც დაადასტურა ექსპერტიზამ. ე. ნ აპირებდა სასამართლოში ჩვენება მიეცა მოპასუხე მხარის სასარგებლოდ. შ. ა. ა.-ს განემარტა ყველა შესაძლო შედეგი, თუკი მისი ყოფილი მეუღლე მართლაც გამოვიდოდა სასამართლოში მის წინააღმდეგ და მან ფაქტობრივად თვითონვე უკარნახა ადვოკატებს სარჩელის გამოხმობა ასეთი შემთხვევისათვის.

2.4 ადვოკატის განმარტებით, 2015 წლის 24 ნოემბერს გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე ე. ნ აპირებდა მიეცა ჩვენება მოპასუხე მხარის სასარგებლოდ, რაც ზედმეტად დაასუსტებდა მოსარჩელის პოზიციას. ვინაიდან შეუძლებელი აღმოჩნდა თურქეთში მყოფ შ. ა. ა-თან კომუნიკაცია, ადვოკატმა თ. ჯ-მა იშუამდგომლა სარჩელის გამოხმობის შესახებ, რითაც არიდებულ იქნა შ. ა. ა-ს თითქმის უდავო წაგება მოცემულ საქმეში, რაც დიდი ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკარგავასაც უქადდა მას.

2.5 ადვოკატის განმარტებით, სარჩელის გამოხმობიდან დაახლოებით ერთ კვირაში შ. ა. ა მივიდა მათთან ოფისში,სადაც მათ აუხსნეს იმავე საქმის განახლების, ან სარჩელის ხელახლა წარდგენის შესაძლებლობის თაობაზე. მან განაცხადა,რომ ყოფილ მეუღლეს გადასცა მნიშვნელოვანი თანხა და შეიპირა მის სასარგებლოდ ჩვენებების მიცემაზე და სთხოვა ადვოკატებს ეცადათ არა სარჩელის ხელახლა წარდგენა, არამედ იგივე სარჩელის წარმოების გაგრძელება.

2.6 ადვოკატის განმარტებით,შ. ა. ა-ს მოთხოვნით, სააპელაციო სასამართლოში წარადგინეს შესაბამისი კერძო საჩივარი, რომელიც არ დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ კი შესაძლებელი იყო ახალი სარჩელის წარდგენა შეცვლილი გარემოების გათვალისწინებით, თუმცა შ. ა. ა-მა აღარ მოისურვა თანამშრომლობა მათთან.

2.7 ადვოკატის განმარტებით,შ. ა. ა-ს საჩივარი ეთიკის კომისიაში გამოწვეულია არა სარჩელის განუხილველად დატოვებით, არამედ მის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენით, რომლისგანაც თავის დაცვა წარმატებითაა შესაძლებელი, თუკი ამას თავად მოინდომებს.

2.8 საპროცესო კოლეგიის სხდომა გაიმართა 2017 წლის 08 თებერვალს. ადვოკატის განმარტებით, შ. ა. ა მივიდა მათთან ოფისში და წარუდგინა ხელწერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ მ. ა.-ს ჰქონდა სასესხო ვალდებულება მის მიმართ. ადვოკატებმა გაუწიეს მას კონსულტაცია და მოამზადეს სარჩელი რომელიც შეიტანეს ჯერ რუსთავის რაიონულ სასამართლოში, ხოლო შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2.9 ადვოკატის განცხადებით, არ არსებობდა მხარეებს შორის კომუნიკაციის პრობლემა და შ. ა. ა-მა იცოდა საქმის ყველა დეტალი.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მათსა და შ. ა. ა.-ს შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მის საქმეს აწარმოებდნენ როგროც დ. ბ, ასევე თ. ჯ. ხელშეკრულება დაიდო წერილობითი ფორმით, რომლის დედანიც აქვს შ. ა. ა-ს, რომელმაც იგი არ წარმოადგინა საჩივართან ერთად, რადგანაც მის ინტერესში არ შედიოდა, ხოლო ხელშეკრულების ასლები მხარეებს არ გადაუღიათ. არსებობს რწმუნებულებები, გაცემული როგორც დ. ბ-ის, ისე თ. ჯ-ს სახელზე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი, დ. ბ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ საერთო სპეციალიზაციით. ადვოკატის ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 შ. ა. ა-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2016 წლის 28 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2015 წლის 24 ნოემბერს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ბ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ჯეროვნად არ განახორციელა მისი ინტერესების დაცვა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: “ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული საქმიანობა.”

5.2.2 .ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე. ადვოკატს, მხოლოდ ამის შემდეგ წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს

კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც აკრძალული არ არის კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.

5.4 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №035/10 განმარტა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს კანონით ადვოკატთა შესახებ (მუხლი - 2,5,6.) არ მოიცავს კლიენტის მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.

5.5 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა მხარეების მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები და მტკიცებულებები. აღნიშნულიდან ირკვევა, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატ დ. ბ-ს შორის არსებობდა შეთანხმება იურიდიული მომსახურების თაობაზე და, შესაბამისად, გაცემული მინდობილობა, რომლის საფუძველზეც ადვოკატი წარმოადგენდა შ. ა. ა-ს ინტერესებს. მხარეების განცხადებებით ვერ დასტურდება შეთანხმების ფორმა, თუმცა, აღნიშნულთან მიმართებით, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იწყება ზოგადი ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების ფორმა აღნიშნული მუხლის მიხედვით დადგენილი არ არის. შესაბამისად, იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება.

5.6 საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ადვოკატი დ. ბ, ადვოკატ თ. χ-თან ერთად, როგორც შ. ა. ა-ის წარმომადგენელი, მონაწილეობას იღებდა 2015 წლის 24 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სხდომაში, ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში, 2016 წლის 04 მაისს, შ. ა. ას კერძო საჩივრის განხილვისას. დამატებით, საპროცესო კოლეგია ითვალისწინებს საქმეში წარმოდგენილ, შ. ა. ა-ს მოწინააღმდეგე მხარის, 2015 წლის 29 მაისის განცხადებას, მიმართულს თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი, სადაც მითითებულია, რომ აღნიშნული პირები და მისი წარმომადგენლები მათი პოზიციის განსამტკიცებელ ერთ-ერთ მტკიცებულებად სწორედ ადვოკატის მიერ აღნიშნულ ე. ნ-ს ჩვენებას უთითებენ. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატი დ. ბ ახორციელებდა იურიდიულ მოქმედებებს კლიენტის ინტერესების დასაცავად და გარკვეული სახის კონსულტაციებსაც უწევდა მას.

5.7 აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა სათანადოდ არ წარმოადგინა მისი ინტერესები და არ განახორციელა კვალიფიციური სამართლებრივი ქმედებები. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება საპროცესო კოლეგიისათვის დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად დ. ბ-ის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის შესახებ.

5.8 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება

5.9 ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით /განაცხადი #C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlande Orde van Advocaten/ "ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი

დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს.

5.10 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა დ. ბ-მ, ადვოკატ თ. ჯ-თან ერთად, მასთან შეთანხმების გარეშე გამოიხმო სარჩელი, რითაც სარგებელი მიიღო როგორც მისგან, ასევე მეორე მხარისაგან.

5.11 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.11.1„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“

5.11.2ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი:“ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“.

5.12 საქმის მასალებითა და მხარეთა განცხადებებით ირკვევა, რომ სარჩელის გამოხმობის შუამდგომლობა დააყენა ადვოკატმა თ. ჯ-მა, ხოლო დ. ბ.-ს აღნიშნულ საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღია. 2015 წლის 24 ნოემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სასამართლო სხდომის ოქმის ამონაწერიდან ირკვევა, რომ სარჩელის გამოხმობის შუამდგომლობა დაყენებულია მხოლოდ ადვოკატ თ. ჯ.-ს მიერ. შესაბამისად, ვერ ვიმსჯელებთ დ. ბ-ის მიერ აღნიშნული ნორმების შესაძლო დარღვევის შესახებ.

5.13 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და, შესაბამისად, დ. ბ-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე-33-ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №086/16 ადვოკატ დ. ბ-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/